აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება- საარქივო სამმართველოს საკონკურსო - საატესტაციო კომისიის სხდომის

ოქმი N1

2015 წლის 20 ოქტომბერი ქ. ბათუმი

სხდომას ხელმძღვანელობდა: საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე მაია ივანიშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრები: ავთანდილ ჩახვაძე, ნინო წულუკიძე, ირაკლი ქუთათელაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა იურიდიულ და საკადრო საქმეთა განყოფილების უფროსი ინგა ხალვაში.

არ ესწრებოდა თენგიზ სალუქვაძე.

დღის წესრიგი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს უფროსის 2015 წლის 16 ოქტომბრის N36 ბრძანებით განსაზღვრული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს სამეურნეო და ურბანულ საკითხთა განყოფილების მთავარი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად ჩასატარებელი კონკურსის ფორმების, პირობების და გრაფიკის განსაზღვრა.

მომხსენებელი. მ. ივანიშვილი

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მაია ივანიშვილის ინფორმაცია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს სამეურნეო და ურბანულ საკითხთა განყოფილების მთავარი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველოს უფროსის 2015 წლის 16 ოქტომბრის N36 ბრძანების შესახებ.

აზრი გამოთქვა:

მაია ივანიშვილმა აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია კონკურსი ჩატარდეს ორ ეტაპად, რომელიც მოიცავს - პირველი ეტაპს - განცხადებების გადარჩევას და მეორე ეტაპს - გასაუბრებას.

კონკურსის პირველი ეტაპი განცხადების გადარჩევა გაიმართოს 2015 წლის 3 ნოემბერს, ხოლო მეორე ეტაპის თარიღი და ზუსტი ადგილი განისაზღვროს პირველი ეტაპის ჩატარების დღეს.

ავთანდილ ჩახვაძემ აღნიშნა, რომ უმჯობესია კონკურსის გამოცხადების თაობაზე განცხადება შეიცავდეს მოთხოვნას, რომ კონკურსანტმა საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე (www.hr.gov.ge) ატვირთოს განათლების/კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და სამსახურის სტაჟის დამადასტურებელი, სათანადოდ გაფორმებული დოკუმენტი – შრომის წიგნაკი (ასეთის არსებობის

შემთხვევაში) ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ცნობა, რომელშიც ასახული იქნება სამსახურის დაწყების და დასრულების სრული თარიღები და დაკავებული თანამდებობა. მითითებული დოკუმენტის არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში, კანდიდატის განაცხადი არ იქნეს განხილული.

კონკურსის მეორე ეტაპზე - გასაუბრებაზე მონაწილეობა მიიღოს მხოლოდ იმ კანდიდატებმა, რომლებიც სრულყოფილად წარმოადგენენ სათანადო დოკუმენტაციას და კონკურსის პირველ ეტაპზე - განცხადების გადარჩევისას დააკმაყოფილებენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 05 ოქტომბრის N16 დადგენილებით დამტკიცებული კონკრეტული ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დადგენილი დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

გადაწყვიტეს:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს სამეურნეო და ურბანულ საკითხთა განყოფილების მთავარი სპეციალისტის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსი ჩატარდეს ორ ეტაპად - განცხადების გადარჩევა და გასაუბრება.
2. კონკურსის პირველი ეტაპი - განცხადების გადარჩევა გაიმართება 2015 წლის 3 ნოემბერს, მეორე ეტაპის - გასაუბრების თარიღი და ზუსტი ადგილი განისაზღვროს პირველი ეტაპის ჩატარების დღეს.
3. კანდიდატის განაცხადი არ განიხილება და მოიხსნება კონკურსიდან თუკი კანდიდატი არასრულყოფილად ატვირთავს საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებად ვებგვერდზე (www.hr.gov.ge) სავალდებულოდ ასატვირთ დოკუმენტებს კერძოდ:

– უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლებს,სამსახურის სტაჟის დამადასტურებელი, სათანადოდ გაფორმებული დოკუმენტი – შრომის წიგნაკი (არსებობის შემთხვევაში) ბეჭდით დამოწმებული ჩანაწერით ან სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი - ასლი, ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ცნობა, რომელშიც ასახული იქნება სამსახურის დაწყების და დასრულების სრული თარიღები და დაკავებული თანამდებობა.

კანდიდატი, რომლის მონაცემებიც არ შეესაბამება დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ვერ გააგრძელებს კონკურსის მომდევნო ეტაპზე მონაწილეობას

კონკურსის მომდევნო ეტაპების - გასაუბრების ჩატარების შესახებ (ზუსტი ადგილი, თარიღი, დრო) კონკურსანტებს ეცნობებათ მათ მიერ აპლიკაციაში მითითებულ ელექტრონული ფოსტის ან ტელეფონის მეშვეობით;

4. კონკურსის პირველ ეტაპზე სრულყოფილად წარმოდგენილი განცხადების გადარჩევა მოხდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 05 ოქტომბრის N16 დადგენილებით დამტკიცებული კონკრეტული ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დადგენილი დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად.
5. დამატებით მოთხოვნებად განისაზღვროს:

- სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება;
- პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;
- დროის ეფექტური მართვის უნარი;
- ანალიზისა და დეტალებზე ორიენტირების უნარი;
- გუნდური მუშაობის უნარი;
- პრიორიტეტების განსაზღვრის უნარი.

- კომუნიკაბელურობა.

6. კონკურსის მეორე ეტაპზე მონაწილე კონკურსანტი შემოწმდება შესაბამისი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად საჯარო სამსახურის ბიუროს ადმინისტრირებად ვებგვერდზე (www.hr.gov.ge) კონკურსის შესახებ გამოქვეყნებულ განცხადებაში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად.

თითოეული კონკურსანტი კომისიის წევრთა მიერ შეფასდება 10 ბალიანი ქულით. გამარჯვებულის გამოსავლენად გამოითვლება საშუალო არითმეტიკული ქულა, რომლის მისაღებად კომისიის წევრთა მიერ დაწერილი ქულები შეჯამდება და გაიყოფა იმ რიცხვზე რამდენი კომისიის წევრიც აფასებს კონკრეტულ კონკურსანტს.

გამარჯვებულად გამოცხადდება ის კონკურსანტი, რომელიც მიიღებს კონკურსის მეორე ეტაპზე კონკურსის მონაწილეთა შორის უმაღლეს საშუალო არითმეტიკულ შეფასებას, მაგრამ არანაკლებ 7 ქულას.

სხდომის თავმჯდომარე	მაია ივანიშვილი
კომისიის წევრები	ავთანდილ ჩახვაძე
	ნინო წულუკიძე
	ირაკლი ქუთათელაძე